8

+

პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2021 წლის __ აგვისტო

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 6 (ექვსი) თვის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ, ინფორმაციის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინფორმაცია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 6 (ექვსი) თვის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ (თან ერთვის).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №26 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 6 (ექვსი) თვის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა მ. ბერაძე

შეთანხმებულია თ. მამარდაშვილი

4085

დ ა ს კ ვ ნ ა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ 2021 წლის 27 აგვისტოს განიხილა განკარგულების პროექტი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2021 წლის მეორე კვარტლის შესრულების შესახებ (თან ერთვის). წარმოდგენილი საკითხი გატანილ იქნა კენჭისყრაზე, სადაც დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით შეფასებულ იქნა დადებითად და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აღნიშნული პროექტი გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე: თამარ მამარდაშვილი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-48212322**
თარიღი: **20/08/2021**
პინი: **0973**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ პაატა ახალაძეს

ბატონო პაატა, გიგზავნით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის 6 თვის ინფორმაციას.

დანართი თან ერთვის.

პატივისცემით,

გრიგოლ იოსელიანი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

4086

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის

სარეზერვო ფონდის 6 თვის ინფორმაცია

2021 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა წლის დასაწყისისათვის განისაზღვრა 120,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის 2021 წლის ექვს თვეში სარეზერვო ფონდის მოცულობა გეგმით განისაზღვრა 98,2 ათასი ლარით, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე. ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 95,6 ათასი ლარით, საიდანაც 5.5 ათასი ლარი მიიმართა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან კოვიდ-19-ის ფარგლებში ანტიგენის, პისიარ ტესტის ასაღებად საჭირო სხვადასხვა ტიპის ჰიგიენური დაცვის საშუალებების შეძენისათვის, 0,7 ათასი ლარი გამოიყო კოვიდ-19 გარდაცვლილთა ტრანსპორტირებისთვის, 6,5 სხვადასხვა ღონისძიებებისათვის (იმერეთის მთასვლელთა და მეკლედეურთა ფედერაციის საწევროსათვის და ახალგაზრდებისა და სტუდენტების პროექტში ,,ქართული კულტურის დღეები მესტია 2021" მონაწილეობისათვის), 82,9 ათასი ლარი მიიმართა მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარებისათვის.

№	თარიღი	ბრძან. №	ბრძანების საგანი	თანხა
1	23.02.2021	48.48210549	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან კოვიდ - 19 -ის ფარგლებში ანტიგენის, პისიარ ტესტის ასაღებად საჭირო სხვადასხვა ტიპის ჰიგიენური დაცვის საშუალებების შეძენისათვის თანხის გამოყოფის შესახებ	2526
2	22.01.2020	48.482109617	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ	6750
3	07.04.2021	48.48210972	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან დახმარებისათვის ბინის ქირის თანხის გამოყოფის შესახებ	1800
4	08.04.2021	48.48210983	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან იმერეთის მთასვლეთა და მეკლდეურთა ფედერაციისათვის თანხის გამოყოფის შესახებ	4200
5	21.04.2021	48.482111813	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან კოვიდ - 19 -ის ფარგლებში ანტიგენის, პისიარ ტესტის ასაღებად საჭირო სხვადასხვა ტიპის ჰიგიენური დაცვის საშუალებების შეძენისათვის თანხის გამოყოფის შესახებ	3000

4087

6	27.04.2021	48.48211174	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ	16500
7	27.04.2021	48.48211175	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა მკურნალობისათვის შპს მულტიპროფილური ჰოსპიტალი მედიქალ სიტი და ინფექციური დაავადებატა მართვის ცენტრისათვის	440
8	27.04.2021	48.482111812	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ	3700
9	02.06.2021	48.48211531	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა covid 19-ით გარდაცვლილთა ტრანსპორტირებისატვის	690
10	04.06.2021	48.482115515	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ	27350
11	25.06.2021	48.482117619	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა სოციალურად აქტიური ახალგაზრდებისა და სტუდენტების პროექტში ,,ქართული კულტურის დღეები მესტია 2021"	2976
12	25.06.2021	48.482117621	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ	25700
სულ ჯამი:				95632